№ 160

სამშაბათი, 28 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 160

სამშაბათი, 28 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებისამებრ, უწმ. სინოდის დადგენილების თანახმად, უმაღლესად კეთილ-ინება, ქუთაისის მაზრის იმერეთის ეპარქიის რიონის სამრეკლოს მღვდელი იოანნე მორჩაძე, 50 წლის სამსახურისა გამო, ჩარიცხულ იქმნას წმ. ვლადიმირის მე 4 ხარისხის ორდენის მქონეთა შორის.

ებოძა: კავკასიის გრენადერთა რაზმის კაპიტანს ქუთათელაძეს—პოდპოლკოვნიკობა, მიხეილის მეცხოვნეთა არტილერიის შტაბს-კაპიტანს დუმბაძეს კაპიტნობა და პოდპორუჩიკს ძნელაძეს—პორუჩიკობა.

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარმართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა გაიღო მცხეთის ტაძრის განსაახლებლად 3,000 მან.

⁂ კავკასი-ს სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ ნება დართო, რომ მომავალის სექტემბრიდგან ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში ყოველ მოსწავლეს სწავლის ფასი თექვსმეტ მანეთის მაგიერად თვრამეტი მანეთი გარდაახდევინონ წელიწადში.

⁂ ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი კვირას, 26 ივლისს, ღამე, გორის მაზრიდგან ტფილისს დაბრუნდა.

⁂ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, დანიშნეთ საგუბერნიო ტეხნიკოსები მადათოვის კუნძულის ნაპირზედ მომავალ პირველ აგვისტოს წყალკურთხევისთვის აშენებულ ფარდულის გასასინჯადაო.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ წარუდგინა თხოვნა ტფილისის გუბერნატორს იმის შესახებ, რომ უბრძანეთ ქალაქის გამგეობას პუშკინის პატარა ბაღის გარშემო ქვაფენილი დააგოს, რადგანაც ქალაქის სახლის პატრონები გაიძახიან, რომ ჩვენ რად უნდა ავასრულოთ ქალაქის საბჭოს დადგენილებანი ჩვენი სახლების წინ ქვაფენილების დაგების შესახებ, როდესაც თვით ქალაქის გამგეობა არ ასრულებს საბჭოს დადგენილებასაო.

⁂ პარასკევს, 24 ივლისს, ტფილისის გუბერნატორს თ. ა. ბიკოვს საჩივარი წარუდგინეს ტფილისის სახელოსნო გამგეობის სარევიზიო კომისიის 6 წევრმა, რომ ხელოსანთა მოურავი სერობიანცი 6 თვეა რაც ნებას არ გვაძლევს ხელოსანთა გამგეობის კასსა დავათვალიეროთ და ჯეროვნად შევამოწმოთო. ბ ნი გუბერნატორი დაჰპირებია მომჩივართ, რომ ამ საქმის გამო შესაფერს განკარგულებას მოვახდენო.

⁂ კავკასიის სააბრეშუმო სადგურში ამ ჟამად მიკროსკოპიულად იკვლევენ ამ წლის აბრეშუმის პეპლებს. მიკროსკოპიულმა გამოკვლევამ ჯერ-ჯერობით აღმოაჩინა, რომ $99^3/_4$% სნეული არა ყოფილა.

⁂ გუშინ, 27 ივლისს, ტფილისის პოლიცმეისტერმა ლ. პ.მასტაცკიმ და იმისმა თანაშემწემ გ. ს. კოვალიოვმა დაათვალიერეს სოლოლაკის ქუჩები და დარწმუნდნენ, რომ ზოგიერთა მდიდარი სახლის პატრონები თურმე არა ჰგვიან და არ ასუფთავებენ ქუჩებს თავიანთ სახლების წინ, ამიტომ ამ სახლის პატრონებს ოქმი შეუდგინეს სასამართლოში გარდასაცემად.

⁂ შაბათს, 25 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზედ ტფილისის ოლქის სასამართლომ გამოაქვეყნა განაჩენი ფხაკაძისა და მაღალაშვილის საქმის შესახებ, რომელთაც თეოდოსია ოზეროვის მოკვლა ჰბრალდებათ. სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ყოველის უფლების ჩამორთმევა და თითოს 8 წლით კატორგაში გაგზავნა. სასამართლომ დაადგინა აგრეთვე ბრალდებულთ ვახმისტრის ბესარიონ ოზეროვის სასარგებლოდ გარდახდეთ 150 მან.

⁂ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ არხიმანდრიტი კირიონი ეპისკოპოსად ხელ-დასხმულ იქმნება 15 აგვისტოსო, მაგრამ რადგან ამ დღეს თვით სიონის ტაძრის დღესასწაულია და უიმისოთაც დიდძალი ხალხი მოიყრის თავს ეკკლესიაში, ამიტომ არქიმანდრიტის კირიონის სახელწოდება მოხდება 22 აგვისტოს, ხოლო ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქმნება 23 აგვისტოს.

⁂ სექტემბრის პირველ რიცხვებში ტფილისს ჩამოვა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ბ-ნი ლ. კ. ლებედევი.

⁂ ტფილისის გუბერნიის გზების შესაკეთებლად ტფილისის გუბერნატორს თ. ა. ბიკოვს განზრახვა აქვს შემოიღოს ისეთი წესი, რომლის ძალითაც ყოველ სასოფლო საზოგადოებას დაევალება შეაკეთოს ხოლმე მუდამ ის გზები, რომელიც სასოფლო საზოგადოების მახლობლად მდებარეობს. ამ აზრით ბ ნმა გუბერნატორმა ინჟენერს ანტონოვს დაავალა გორისა, ახალქალაქისა, ახალ·

## ფელეტონი

### „ნეტა, რად გამაჩინა ღმერთმა“.

(სურათი)

(დასასრული *)

კურსი შეასრულა ფორემ, დაბრუნდა სახლში და გამოუცხადა დედ-მამას ბაბალეს შერთვის სურვილი... თქვენს მტერს, ფორეს დედ-მამას თავ-ზარი, მეხი დაეცათ. ეს სიზმარში ხო არ ესმით?.. არა, ცხადად გაიგონეს და სალომემ მოიკრიბა ფარხმალი... „როგორ, აღარ გაგვაგონო!.. შენს შვილობაზედ ხელს ავიღებთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუ ხელ-მეორედ კიდევ გაგვიბედავ მაგისთანა ჩვენის ოჯახის შემარცხვენელს, თავის მომკვლელს განზრახვას. რას ამბობ შვილო, ხო არავინ მოგწამლა-მოგაჯადოვა, ვინ გაიგონა შენისთანა დედ-მამის შვილმა, კურს დამთავრებულმა, მაგისთანა თვალტანადობით წარმოსადეგმა ბოგანომათხოვრის ქალი შეირთო. რა ვუყოთ, რო ლამაზია, თოვლი-კი არ არის თეთრი, მაგრამ... ქვეყანაზედ ქალები გაწყვეტილან თუ. აი ჩვენ ამორჩეულიცა გვყავს შენთვის ქალი, მდიდარის დედ-მამის შვილი. ორასი თუმანი ხმელად ფული აქვთ იმისთვის გადადებული. ამდენისავე მზითევი ხო კარგა ხანია აკონილდამზადებული აქვს. ამისთანა ქრთამმზითვიან ქალს აბა ვინ დაიწუნებს. შეაფურთხე, შვილო, ეშმაკს და აღარ გაივლო გუნებაში ის გომბიო, თორემ შენ თვალ წინ თავებს დავიხოცავთ, ყელებს დავიჭრით, მერე ცოდვაც შენ და მადლიც. მაგისათვის არ გაგვიზრდიხარ, ცხარე ცრემლები გვიღვრია, უძილოდ ღამეები გვითენებია, გვიტანჯია, რომ ვიღაცა ცალიერ ტარიელი გოგო შემოგვიგდო სახლში. არა, შვილო, არა. უწინაც დღე გაგვქრობია, სადღა რა უნდა ვთქვათ, ვინ რას იტყვის, ქვეყანაზედ თავი როგორ და უნდა გამოვყოთ, ჩაგვქოლავენ, ქოქოლას დაგვაყრიან, ყბად აგვიღებენ ბოროტის ნიშნის მოგებით და შურ ღვარძლიანის სიცილ-ხარხარით. იტყვიან: „ჰი, ვენაცვალეთ ღმერთს, ცხვირს მაღლა იწევდა, მაღალ ფაიდებში ეპოტინებოდა, მაგრამ დაბლაც ძლივს მიიწვდა“-ო. იმედი მაქვს, შვილო, გონს მოხვალ და თავ-ცოცხალი მტერს არ გაახარებ. შვილო, ეხლა ყველას შურით თვალები უბრმავდებათ, კარგი, ნასწავლი შვილი გამოუვიდათო, და თუ მაგ ბედოვლათობას ჩაიდენ, იმაზედ მეტი გახარება რაღათ უნდათ. მაშინ შენი საქციელი-და გაუხდებათ სალაპარაკო საგნად“...

ბევრი ამ გვარი სიტყვები უთხრეს შვილს, მაგრამ ფორე თავისას გაიძახოდა: იმ ქალისათვის პატიოსანი სიტყვა მაქვს მიცემული, ხელს ვერ ავიღებ, ვერ გავაუბედურებო. მართლა, პირველ ხანში ფორეს დედმამამ ვერა გააწყეს რა, მაგრამ მესამე-მეოთხე დღეს სხვა და-სხვა მოსაზრებით, ხან ხვეწნა-მუდარით, ხან დარცხვენა მუქარით, ფორე სულ სხვა გუნებაზედ დააყენეს, წინანდელი განზრახვა ისე შორს მანძილზედ გაატყორცნინეს, რომ ფორე თვით ვერ მიმხვდარიყო, საიდგან, როგორ მოხდა ასე მოკლე ხანში ცვლილება. ეხლა ფორეს სულ სხვა აწუხებდა. „ბაბალეს ხმალი ჩემს კისერზე იყოს, უთხრა სალომემ შვილს. იმას ისეთი დედინაცვალი ჰყავს, ბაბალე ჰირივით ეჯავრება. ორიოდე მანეთი-კი ააფარე დაჰყეტილ, სიხარბისაგან ბუდიდგან გადმოცვივნულ თვალებზედ და კაცის მიკვლაზედ აუკანკალებრივ ხელს მოაწერს. შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, შვილო, ისეთს ადგილას გადავაკარგვინო, შენის ჯვარის წერის სუნიც-კი არ მიედინოს. მერე, როდესაც საქმე გათავებული იქნება, რამდენიც ენებოს ფეხები იფშხლიკოს, თავშიაც ქვა უხლია, მუცელში სამართებელი. არ იცოდა საქმეს ვისთან იჭერდა? სვავი ჯერ გაზიდავს ძვალს და მერე ისე ჩაჰყლაპავსო. მაგასაც თავში ბატის ოდენა ტვინი მაინც უნდა ჰქონოდა... წავიდეს და მოუშტვინოს... მაგრამ, შვილო, ჩვენ იმაზე ყბედობის დრო აღარა გვაქვს. დღესვე შენის დანიშვნის საქმეს უნდა შევუდგეთ. შენს სასიმამროს შევუთვლი—ამაღამ მოვდივართ ქალის გასასინჯათ და მზად დაგვიხვდნენ. შენ-კი, გენაცვალოს დედა, შვილო, ე მაგისთანა დედმამის გამგონე უნდა იყო“... როგორ გაუძლებდა სალომეს კუჰი, თუ ამისთანა შემთხვევაში შვილისათვის გრძელი დარიგება არ მიეცა. ხო გაგიგონია—დედ-მამის წინ მარბენელ კვიცს ნადირი შესჭამსო. იქნება ეხლა რასა ჰფიქრობდე, მაგრამ ჩვენს ამაგს მერე დააფასებ, ცხოვრებაში რომ ფეხს შესდგამ, ფულის ყადრს ისწავლი. ფულია ეხლა, შვილო, პატარა ღმერთი. არ იცი, ყველას ეს აკერია ეხლა პირზედ? მიიხედ-მოიხედავ და დაინახავ, რომ ყველანი თავისკენ ითლიან, თავის ჯიბე-მუცელს ჩაჰკირკიტებენ. უფულოდ ფეხსაც ველარსად გადასდგამს კაცი. ეხლა ვინც ფულებით კოჰაობს, კაციც ის არის და ქუდიც იმასა ჰხურავს. ფულებია, შვილო, ნამდვილი მაჩვენებელი, საზომი კაცის ღირსება პატიოსნებისა, ფულიანი კაცია ეხლა ყველგან მიღებული, ყველას საყვარელი; მის წინ იხრიან ქედს, მას ჰმონებენ ძლიერნიც-კი ამა სოფლისა. აბა, მოდი და ეხლა რომელი-და ჰკუათა მყოფელი იტყვის, ქალი მომწონს და ამიტომ მინდა ის შევირთოვო. არა, ეხლა ჯერ ქრთამს იკითხავენ, ამას ეძებენ. თუ ამისთანა ბედნიერი ქალი აღმოჩნდა, გაგიხარიან სასიძო-მთხოვნელები ჰიანჭველასავით აირივნენ და როგორც ბუზი თაფლს ისე დაეხვივნენ. თაფლისთვის, ხო იცი, ბუზი ბაღდადიდგან მოვაო. შენ რაღა ჩაჩიკას შვილი ხარ, რომ ამისთანა სამოყვრო ხალხს სახარბიელო ქრთამ-მზითევს წიხლი დაჰკრა. აი ეს ჩემი სიტყვები დაიმახსოვრე, გულის ფიცარზედ დაიწერე შვილო და თუ ბოლოს არ გამოგადგეს, აგრე მითხარ, ფუი შენ დედაკაცობასა-თქო“...

წაიყვანეს ფორე მეზობელს სოფელში და იმ ღამესვე დანიშნეს. ვინა კითხულობდა, ფორეს მოეწონა თუ არა ქალი. სირცხვილისაგან სახეზედაც-კი არ შეუხედნია, მოწონებას ვიღა იფიქრებდა. ქორწილიც იმ კვირაში მიახერხეს. ქორწილის გაგონებაზედ ბაბალეს თითქოს გულში რაღაცა ჩასწყდა, ასო-ტანი მოუდუნდა...

— ოხ, ის კუდიანი ჩემი დედის ნაცვალი, როგორ მომეკურკურა, პირში სიცილი, ალერსი დამიწყო. პირველად მეოცა იმისი ასე უცბად ცვლილება, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ის მოსყიდული იყო, ფლიდობდა, მზაკვრობა განეზრახა, ფულებს დაებრმავებინა. „შვილო, რა რიგ ჩამოჰყვითლდი ამდენის სახლში ჯდომით და დარდით. რა გაქვს ამდენი საფიქრებელი, რომ სულ შენს გუნებას ჩაჰკითხებიხარ. შვილო, დილაზე ჩემს სამშობლოსას მივდივარ, წა-

*) იხ. „ივერია“, № 157.

ციხისა, ბორჩალოს და ტფილისის (მტკვრის მარჯვენა მხრის) მაზრების საერობო გზების ყოფა-მდგომარეობის შესწავლა და ინჟენერს ვასილიევს—თელავისა, სიღნაღისა, დუშეთისა და ტფილისის (მტკვრის მეორე ნაწილის) საერობო გზებისა და იმის გამორკვევა, თუ რომელ გზების შეკეთება-შესწორება უნდა მიენდოს ამა თუ იმ სასოფლო საზოგადოებას. რაც შეეხება ხიდებს, ბ-ნს გუბერნატორს განზრახვა აქვს, ხიდების შესაკეთებლად საჭირო მასალის მიტანა და ხიდების შეკეთება დაავალოს იმ მემამულეთ, რომელთა მამულიც გზების მახლობლადა მდებარეობს.

*** ქუთაისის საგუბერნიო მთავრობამ ნება დართო ბათუმისა, ართვინისა და სოხუმის ოლქში გამოიკვლიონ და ხელი მიჰყონ ნავთის წარმოებას: ბ-ნმა გინცბურგმა, ინგლისის ქვეშევრდომის გეორგ ტვიდის რწმუნებულმა—ს. ი. პენიაკოვმა და ბაქოს მე-2 გილდის ვაჭარმა ი. მ. დუელმა.

*** ამ ჟამად პეტერბურგს არსდება „რუსეთ-კავკასიის სამთამადნო საზოგადოება“, რომელსაც აარსებენ ინჟენერი ვენდროვსკი და ვაჭარი ნორმარკი.

*** განზრახვა აქვთ სიღნაღის მაზრის სოფ. კაჰრეთიდგან კოდალოზედ ვაზნაძიანამდის გზა-ტკეცილი გაიყვანონ და ამ გზა-ტკეცილით ჰზავენონ საქონელი თელავის მაზრიდან.

*** ტფილისის საკრედიტო საზოგადოებამ ამას წინად შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს, რომ ნება მოგვეცით საზოგადოების წესდებაში ზოგიერთი ცვლილება შევიტანოთო. საზოგადოებას უკვე ეცნობა პეტერბურგიდგან, რომ თქვენი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნაო. ამას გარდა, საზოგადოებას ნება მიეცა გამოსცეს $4^1/_2\%$ ობლიგაციები.

*** გორის მაზრის უფროსმა ბ-ნმა დრაჩევმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მომეცით მუშათა დასი შევადგინო და ის ჭაობები ამოვაშრობინო, რომლებიც ს. ხიდისთავისა და ხვედურეთის მახლობლად არისო, რადგან ჰაერსა ჰშხამავენ ცუდის სუნით და მცხოვრებელთ შორის ციებ-ცხელებას ავრცელებენო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ქუთაისის საგუბერნიო მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მთავრობის წინაშე, რომ ნება მოგვეცით ქუთაისის გუბერნიიდგან გავაძევოთ ისინი, რომელთაც ცხენის ქურდობა და სხვა დანაშაულის ჩადენა ჰბრალდებათო.

*** გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ ტფილისის პირველ ნაწილის მცხოვრებელთა საერთო თხოვნა, რომ გაუქმებულ იქმნას ქალაქის გამგეობის სავალდებულო დადგენილება ქუჩების სახლის პატრონების მიერ დაგვა დაწმენდის შესახებაო, მთავარმართებელმა განსახილველადა და თავისის აზრის გამოსათქმელად გადასცა საგუბერნიო მთავრობასაო.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ მარიამობის თვიდგან ხელს მიჰყოფენ ახალის ხიდის გადებას მდ. მტკვარზედ სად. გრაკალის მახლობლადაო. ახალ ხიდს აკეთებენ ძველის ხიდის ზემოთ 30 საჟ. მოშორებით და ხიდისათვის სამს ადგილას ამოყვანილ იქმნება ქვის ბურჯები. ბურჯებისათვის საჭირო ქვა უკვე ჩამოიტანეს ქუთაისის გუბერნიიდგანაო.

*** გაზ. „Пет. Вѣд.“ სწერს, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს დედათა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დაარსების შესახებ იმ ადგილებში, სადაც დიდადაა გავრცელებული ხვნა-თესვა და ბაღოსნობაო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ, რომ გუდაუთის ნაწილის სამმართველოს თარჯიმანის ალექსი ლადარიას სახლობა, რომელსაც 7 შვილი ჰყავს, 14 ივლისს ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა. ამ დროს აქ იყო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სამოილოვი, რომელიც, რაკი დარწმუნდა, რომ ლადარიას შეძლება არა აქვს თავისი სახლობა ტფილისში გაჰგზავნოს საწამლებლადაო, განკარგულება მოახდინა, რომ სოხუმის ოლქის თავისუფალ თანხიდგან მიეცეს ლადარიას 100 მან. სახლობის ტფილისში გასაგზავნადაო.

*** გაზ. „Рус. Вѣд.“ სწერს ერთი კორესპონდენტი სიღნაღიდგან, რომ ჩვენ შევკრიბეთ ცნობები იმის შესახებ, თუ ამ უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში რამდენი დაბადებულა და მომკვდარა სიღნაღის მაზრაში და აღმოჩნდა, რომ ქიზიყის მცხოვრებლები ამოწყვეტის გზას დასდგომიან. ეს იმის ბრალი უნდა იყოს, რომ აქ მეტად გავრცელებულია ციებ-ცხელება, რომელსაც აჩენს ქიზიყის შუა ადგილას მყოფი ჭაობი ჭალათ-პირი და დღემდის იმის ამოშრობისათვის-კი არავინ არასა ჰზრუნავსო.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად დანიშნული გენერალ-მაიორი გერშელმანი თავისს თანამდებობის აღსასრულებლად სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვაო.

*** ფასანაური, (დუშეთის მაზრა). 23 ივლისს ბლაღოჩინ ზაქარია დავითაშვილთან კრება ჰქონდა ადგილობრივს სამღვდელოებას. კრებამ მოილაპარაკა ადგილობრივ სამღვდელოების მეტად გაჭირვებულ ყოფა-მდგომარეობის შესახებ, რადგან არიან ისეთი მღვდლები, რომელთაც მხოლოდ 300 მან. აქვთ შემოსავალი წელიწადში და 10 სული-კი საცხოვრებელი ჰყავთ. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ ადგილობრივ სამღვდელოებას ჯამაგირები მოემატოსო.

*** დ. ოჩამჩირე, (აფხაზეთი). 19 ივლისს ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა საგანგებოდ ამ წარმოდგენისთვის გაკეთებულ ფარდულში ვ. გუნიას დრამა „და ძმა“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით იყო გამართული და საზოგადოებამაც მხურვალედ თანაუგრძნო ამ საქმეს. სცენის მოწყობა იკისრა პ. პ. ზაიცევმა, რომელსაც ოჩამჩირელები დიდს პატივსა სცემენ. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები ღამის 2 საათზედ დაიშალა. ამ საღამოს ზოგიერთებს ის აზრიც დაებადათ, რომ ცალკე სადგომი აეშენონ, სადაც ყოველთვის შესაძლებელი იქნება წარმოდგენების გამართვა. ღმერთმა ხელი მოუმართოს ოჩამჩირელებს ამ სასახელო საქმის განხორციელებაში. განა ნარდისა და ბანქოს თამაშს ეს ადამიანური თავ-შექცევა არა სჯობია!..

*** რაჭა, 24 ივლისი. რაჭველების მყუდრო ცხოვრება შეაშფოთა ერთმა დიდად შემაძრწუნებელმა და სამწუხარო ამბავმა. 17 ივლისს სოფ. შავრს მოკლულ იქმნა გლეხების რაზმაძისა და დვალების მიერ თავ. ალექსანდრე მიხეილის ძე წულუკიძე, რომელიც სხვა თავისს სახლიკაცებთან ერთად იყო თავისს მამულში, ნომანევის მთაში. მკვლელობა მოახდინეს მცირე-წლოვან გლეხებმა.

*** კვირას, 26 ივლისს, შუაღამისას, საეკკლესიო ვიწრო ქუჩაზედ კუკიაში, რაჭის მაზრის სოფელ სხვავის მცხოვრებელმა სიმონ გუგუშვილმა მძიმედ დასჭრა თავისი ბიძაშვილი ოლოფიო გრიგოლის ძე გუგუშვილი შურის ძიებისა გამო. საბრალოს რამდენიმე ჭრილობა აქვს ყელსა და მუცელში. დაჭრილი გუგუშვილი პოლიციამ მაშინვე საავადმყოფოში გაჰგზავნა, მაგრამ იმავე ღამეს იგი იქ გარდაიცვალა. სიმონ გუგუშვილი-კი პოლიციამ შეიპყრო გუშინ და დააპატიმრა.

*** 26 ივლისს, ღამის 11 საათზედ, სირაჯხანაში შელაპარაკდნენ სიღნაღლები საქულ ფარემუზოვი და ნიკოლოოზ ყაზაროვი და ჩხუბი მოუვიდათ. ამ დროს ყაზაროვმა იძრო დანა და ფარემუზოვი დასჭრა მუცელში, დაჭრილი ფარემუზოვი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ყაზაროვი-კი პოლიციამ შეიპყრო.

*** ხიდისთავის საზოგადოების ადგილ ოხერაში, ამ დღეებში „ზეზემანისა და ქართველიშვილის“ რკინის გზის ლიანდაგზედ მატარებელმა გასრისა სოფ. ატენის მცხოვრებელი ბესარიონ ბესტავაშვილი.

## ყაჩაღთა ბრბონი ამიერ კავკასიაში.

ამას წინად ხმა გაისმა, რომ მურსაკულოვის ყაჩაღთა ბრბომ კოჯორში აიარაო. ამის გამო ტფილისის პოლიცმეისტერმა კოჯორში აჰგზავნა ტფილისის პოლიციის პირველ ნაწილის ბოქაული ბ-ნი ფირუმოვი ამ ხმის სიმართლის გამოსარკვევად. ბოქაულის ფირუმოვის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ეს გავრცელებული ხმა ტყუილიაო. აი, საზოგადოდ ყაჩაღთა ბრბოს შესახებ ჩვენ რას გვაუწყებენ სარწმუნო წყაროდგან: ტფილისისა, გორისა და ბორჩალოს მაზრებში დათარეშობს რამდენიმე ავაზაკთა ბრბო, სახელდობრ: 1) ალაი ბეგ

---

მომყე, თვალი გაახილე შენც, ან ავი გაიგე, ან კარგი, თვალ-გული ამოღამებული გაქვს“. მომატყუა იმის გველურმა სიტყვებმა. წავყევი თავის სამშობლოსას, მოშორებულ სოფელში. ერთ თვემდის შინ აღარ დამაბრუნეს. ამ ხანში თურმე ფორეს ჯვარიც დაეწერა და ქალაქშიაც-კი გამგზავრებულიყო ადგილის საშოვნელად. ამ ამბავმა გულს შემომყარა, ცა და ქვეყანა თავზედ დამენგრა, ფეხთაგან ნიადაგი გამომეცალა და დავინახე, რომ ჩემს წინ საშინელი, უძირო უფსკრული გაჭიმულიყო, მაგრამ გვიან-ღა იყო, რაღას ვიზამდი. განწირული ვიყავ ჯურღმულში ჩასაგდებად. ერთი ოდნავ ხელის კვრა-ღა იყო საჭირო. ამანაც არ დაიგვიანა, უკან მოხედვაც-კი არ მაცალეს. ჩემმა დედინაცვალმა სახლიდგან დამითხოვა. „ამდენს ხანს გინახე, მეტი აღარ შემიძლიან, წაეთრიე საითაც თვალი გიჭრიდეს, შენისთანა უნამუსოს ჩემს ჭერქვეშ ვერ დავაყენებ, მეც ქვეყანაზედ თავს მომჭრიო“... და ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში-კი გავჩნდი, უპატრონო, მშიერ-მწყურვალი. გზა-კვალი ამებნია, არ ვიცოდი რა ბილიკს დავდგომოდი. დავხეტიალობდი ეგრე, რომ უცბად თავში რაღაცა შესაზარმა ფიქრმა გამიელვა, სატეხსავით თავში ჩამიკაკუნა. ჩემს თავს რაღაცნაირი გუნების შეცვლა, ხაზმუზიანობა, გულის გადალევა-წყალება შევატყე... თურმე ნუ იტყვით... იმ მეხის დაცემა-ღა მაკლდა. თავისათვის უნდა მეშველა. წინადვე გაგებული მქონდა, სოფელ პ—ში ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა უებარი წამალი იცის ამისთანა შემთხვევისათვისაო. მეც აღარ ვაცივ-ვაცხელე და ერთ წამს ჩემს მხსნელ-მფარველ ანგელოზთან გავჩნდი. ჯერ ცივ უარზე შედგა, აიკლიისა. უნდა ვქვა, რომ ძველ, ჭინჭრიკონა ჩითის კაბაში ვიყავ გახვეული. „თუნდ ადამიანის სული მოგიკლავს, თუნდ ეგ ცოდვა ჩაგიდენიაო“. მაგრამ თვალებს ისე აცეცებდა, ეტყობოდა იმასა ჰფიქრობდა, აბა რა ხელ-ფასს მომცემ მაგისთანა სულის დამამძიმებელ ცოდვის ჩადენისათვისაო. მართლაც, როდესაც გავაჩავე, ჩემის დედისაგან სახსოვრად დარჩენილს ხელის ბეჭედს მოგცემ-მეთქი, ცოტა არ იყოს ყოყმანი დაიწყო. ბოლოს ცრემლებიც დავსაქმე, მაშინ-კი გასჭრა, არ ვიცი, ცრემლებმა, თუ ხელის ბეჭედმა. დათანხმდა. რაღაცა მაგარი წამალი გამიკეთა, დამალევინა. ერთს საათს ჩემი სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა, მაგრამ გავუძელ, მშვიდობიანად გადარჩა ჩემი სხეული. მხოლოდ ჩემი პატიოსნება, სახელი, გასათხოვარის ქალის ნამუსი ძალიან დაშავებულ-დაზიანებულიყო. ქვეყანას მოეჩვენოდა ჩემი სამარცხვინო საქციელი, განგაშად გაჰქონდათ, ათას მხრივ სჭრიდნენ-ჰკერავდნენ, ის კი არ იცოდნენ, თუ ჩემს გულს რა რიგ ჰგმირავდნენ. თურმე საქვეყნოდ ჩემსავე დედინაცვალს გავეხადნე, გაეცა ჩემი მდგომარეობა, ყელი გამოეჭრა ჩემთვის. ერთი კვირის შემდეგ ჩემზედ თითით აჩვენებდნენ, პირშიაც მაგონებდნენ. პატარა ყმაწვილები ხომ ერთიხროვა დამდევდა და მოსვენებას არ მაძლევდა. დიდები თუ ჰგზავნიდნენ ჩემდა სატანჯად. ეხლა-კი აღარ შემეძლო თამამად, თავ-აღებით მისულიყავ ჩვენს უბანში მეზობლებთან. მეტი ჩარა არ იყო, აქ უნდა მომეკალათნა, ამ ქოხმა შემივრდომა. მახსოვს, პირველად რომ მომშივდა, რამდენისამე დღის უჭმელ-უსმელს სირცხვილით, თან შიშით გარეთ თავი ვერ გამომეყო. აი, ერთ ღამეს ორს იქაურს ვაჭრის ბიჭს ჩემთან მშვენიერი ვახშამი და სასმელები მოეტანათ. მთხოვეს, ვახშამი მეჭამა, მაგრამ გულმა მიგრძნო, იმათ რაღაც სისაძაგლის ჩადენა ჰქონდათ განზრახული, ამიტომ ჯერხანად ახლოც არ მივეკარე. შემომფიცეს „რჯული, ღმერთი ჩვენ შენს სასიკეთოდ მოვსულვართ. გავიგეთ, ქვეყანა გერიდება, აბუჩად-მასხარად გიგდებს, ეს რამდენიმე ხანია თურმე მშიერ-მწყურვალი ათენ-აღამებენ და ზედაც არავინ არ შემოგხედა. შეგვეცოდე, როდემდის გასძლებ მაგრე, მშიერი სული ამოგხდება, ამოიღრძობი; შენს თავს არა აუტეხო-რა, პური ჭამე, ღვინო დალიე და ჩვენ, ჩვენს გზას გავუდგებით, როგორც მოვსულვართ, ისევე წავალთ“-ო. ამ სიტყვებმა და შიმშილმა თავისი გაიტანეს... ხარბად დავეწაფე ჩემ წინ გაშლილ სუფრას. ღვინოც კარგად მომდებოდა, რეტიანივით თავს ბრუ დასხმული იქვე სუფრის ახლოს გადავგორდი. აღარ მახსოვს, რა მოხდა იმ ღამეს. გათენდა დილა, დაჰკრეს ზარები, მხოლოდ მაშინ გამეხილა საწყალს თვალები. ეხლა-კი დავრწმუნდი, რა დაღმართზედაც დავქანებულიყავ თოვლის გუნდასავით. აღარ შემეძლო, ნება არ შემწევდა უკან დავბრუნებულიყავ. მეც დავეწაფე გარყვნილების მორევს, თავ-აუღებლივ ყელთამდის ვცურავდი ამ წუმპეში თითქმის უგრძნობლად. ანგარიში ვერ მიმეცა ჩემის თავისათვის, რასა ვშვრებოდი. ხან ერთ სოფლისაკენ მიკრავდნენ თავს, ხან მეორეში გამაქანებდნენ ირაო საქონელივით. ასე გაირბინა ხანმა, სანამ ჩემს თავს არ შევატყე, რომ რაღაც სენით ვიყავი შეპყრობილი. მხოლოდ მაშინ გამანებეს თავი, მაგრამ თქვენს დამაწყევარს, რაც მე ჯოჯოხეთურ ტანჯვას ვგრძნობდი. ღმერთო, ან რაღაში მიდგა ეს აკატებული სული. დიდხანს ვიძალე-ღორე, სანამ ვილაცა გულ შემატკივართა შემწეობით, რომელთაც ფული მოექუჩებინათ ჩემს მოსარჩენად, ერთს დედაბრის სახლში არ ამოვყავ თავი. ღმერთმა სულით გაანათლოს... არა, არა, რად მომარჩინა... ოჰ, იმ ტანჯვით სიკვდილი ძნელია. აი ეს ერთი კვირაა დედაბერმა გამომისტუმრა, მამასახლისიც დამემუქრა... ეხლა არ ვიცი რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რა ქვასა და კლდეს მივცე თავი... რატო თავს მაინც ვერ ვიკლავ, რად მეშინიან, რიღას იმედი მაქვს, იქნება არ მინდა სული ეშმაკს მივცე... მაგრამ განა კარგა ხანი არ არის იმათ ვეკუთვნი სულიან-ხორციანად... ღმერთო! მეც არ ვიცი რაღას ველოდები. ფორესა და იმის ცოლის თვალის დაკვრა-შეხედვა ხო არ მომწყურებია... არა, აბა მე რა ღირსი ვარ, იმათ თვალი გაუშტერო. ისინი უზაკველნი არიან, მე-კი პილწი, ბიწიერი, გარყვნილებით დაბნელებული მაქვს გონება, გული... ნეტავი ვიცოდე, ფორეს ვაგონდები და თუ არა... რას ვამბობ... როდესაც გაიგებდა ჩემს საქციელს, მგონია როგორ შეეზარა, გულ-მუცელი აერია. ან-კი შეიძლება ჩემზედ გულ-დინჯად იფიქროს კაცმა?.. მხოლოდ ერთხელ, ერთხელ მაინც შემეხედნა... ჯავრი სამარეში თან არ ჩამეტანა... და მერე ჯანდაბას ყოფილიყო ჩემი... მაშინ გავბედავდი... მაგრამ, თუ ამაღამაც განმეორდა მწარე სახ... მაშინ?..

ე. მ—შვილი

მურსაკულოვისა და კატორგიდგან გამოქცეულ ასტან-ალა კასუმოვისა. ეს კასუმოვი შვილია ტაშთემურ ალასი და ძმა სამედ-ალა კასუმოვისა. იგი რუსეთის ჯარში მილიციის პრაპორშჩიკად იყო და წმ. გიორგის ჯვარი მიიღო რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელ ომის დროს გამოჩენილ სიმამაცისათვის. ამათ ბრბოში არიან ჰაჯი-ხალილ-ალა ბაირამოვი და მუსტაფა-კარაჯი-ოღლი, აგრეთვე ორი კატორგიდგან გამოქცეული გუმბრის მაზრის მცხოვრებელი ჰამიდა და თამირა. ამ წლის ივნისის პირველს რიცხვებში ალაი-ბეგ მურსაკულოვი და ორი უკანასკნელი წევრი მისის ბრბოსი განშორდა სხვებს და სადღაც მიეფარა.

10 ივნისის ღამეს ასტან-ალის ბრბო, რომელიც სამის კაცისაგან შესდგება, თავს დაეცა ტფილისის მაზრის სოფ. ვაშლოვანის ბოლოში მყოფს გლეხის გაბრიელ ხადურის დუქანს, ვაშლოვანის ხევს ახლოს, და გაძარცვა ეს დუქანი. წაიღეს ხუთი თუმანი ფულად, 10 მან. ღირებული საათი, სხვა-და სხვა ნივთები, ღირებულობით 200 მანეთისა, და წაიყვანეს შეკაზმული ცხენი. იქვე გაძარცვეს ტფილისელი ბაყალი ლომიძე, რომელსაც ექვსი თუმანი წაართვეს, და წაიყვანეს აგრეთვე ორი ცხენი ელიზავეტალის ახალშენის მცხოვრებ გერმანელთა. ავაზაკები იმავე ღამეს გადავიდნენ ბორჩალოს მაზრაში, გზად დასტოვეს გერმანელების ორი ცხენი, რადგან მეტად გამხდრები იყვნენ ეს ცხენები, და ამის ნაცვლად ორი ცხენივე წაართვეს სოფ. ნაზარლოს მცხოვრებელს ურბან-ალი მამედ-ვალი-ოღლისა და ქიარიმ ბუზო-ოღლის. ამავე ყაჩაღთა ბრბომ ალაი-ბეგ მურსაკულოვის სოფელს კიზილაჯლოში მოჰკლეს ერთი შორაპნის მაზრის მცხოვრებელი იმერელი და გაიქცნენ. ტფილისის ნაწილის ბოქაულმა ბ. ნმა ე. გუგუშვილმა დაუყოვნებლივ გამოიხმო ხოპერის რაზმის ყაზახები და დურნუკის საზოგადოების მამასახლისი მიხეილ ხაჩატუროვი შეიარაღებულ გლეხებითურთ და, მისცა რა ჯეროვანი დარიგება ამ უკანასკნელთ, ყაზახებით გამოეკიდა ყაჩაღებს. ბინდისას წამოეწია მდინარე ხრამთან, ბორჩალოს მაზრის საზღვარზედ, უტეხ ტყის პირას. აქ სროლა დაუწყეს ერთმანეთს ყაზახებმა და ყაჩაღებმა, ხოლო სიბნელის გამო ყაჩაღებმა თავი შეაფარეს ტყეს, ისე-კი, რომ იძულებულ იყვნენ იქვე დაეტოვებინათ სამივე ცხენი და ყოველივე ის, რაც-კი ვაშლოვანის დუქნიდგან ჰქონდათ წაღებული. ამ გვარად ალაი-ბეგ მურსაკულოვის ყაჩაღთა ბრბო ეხლა ორად არის განაწილებული და ისე დათარეშობს.

მესამე ბრბო ეკუთვნის კატორგიდგან გამოქცეულს ქიარიმ თაქოელს და იმასთან ერთად დათარეშობენ უმბაშა და შამილი.

მეოთხე ავაზაკთა ბრბოს ჰმეთაურობს ხეჩო და ჰმოქმედებს იგი ბორჩალოს მაზრის ლორიის ნაწილში, ყაზახისა და გუმბრის მაზრების საზღვარზედ.

მეხუთე ავაზაკთა ბრბო დათარეშობს გორის მაზრაში და, როგორც სჩანს, გუჯარეთელ ოსებისაგან უნდა იყოს შემდგარი. ძნელად თუ ამ ბრბოს ალაი-ბეგ მურსაკულოვი წინამძღოლობდეს. ეს ის ბრბოა, რომელმაც აიკლო 1897 წელს თავად თომა ციციშვილის სახლი.

აი, ყველა ის ავაზაკთა ბრბო, რომელთა შესახებაც ადმინისტრაციამ უწყის რამე. რაც შეეხება იმ ამბავს, ვითომ კოჯორში მყოფთ ჰნახეს ავაზაკებიო, ეს ხმა არ არის მოკლებული სიმართლეს, რადგან, როგორც ვთქვით, სწორედ იმ ხანებში გასძარცვეს ყაჩაღებმა დუქანი სოფ. ვაშლოვანში, რომელიც კოჯორს ჰშორავს 5—6 ვერსით, ხოლო ეს ბრბო ალაი-ბეგ მურსაკულოვის ბრბო კი არ იყო, არამედ ასტან-ალისა იყო.

## წერილი კავკავიდგან

24 ივლისი.

მთელის კავკავის ქართველობის ყურადღება ამ ჟამად ეკლესიის საქმეზეა მიქცეული. თვე ნახევარი იქნება, რაც აქაური ქართველები შეუდგნენ ეკლესიის აშენების საქმეს. ამისათვის საჭირო შეიქმნა ქართულის სკოლის შენობის ნახევარი ეკლესიად გადაკეთებულიყო და სკოლისათვის შენობა მეორე მხრით აეშენებინათ. ეკლესიის კომიტეტის წევრთა სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუდამ გახურებული მუშაობაა. ამ ჟამად სკოლის შენობა უკვე დახურულია და ამ დღეებში შელესვას დაუწყებენ. სკოლის ახალი შენობა წარმოადგენს ორს დიდს დარბაზს და ორს პატარა ოთახს ერთის მასწავლებლისათვის. სკოლის შენობა საზოგადოდ ძველ შენობასთან შედარებით ყოვლის მხრით უმჯობესია. ეკლესიისათვის კედლები უკვე ამოყვანილია და ამ ორ დღეში დახურვას შეუდგებიან. ეკლესიაც კოხტა, ლამაზი და მშვენიერი გამოდის. ამნაირად კავკავის ქართველობას ამ ცოტა ხანში აუსრულდება დიდი ხნის გულის წადილი— ექნებათ საკუთარი ეკლესია და ეყოლებათ საკუთარივე მღვდელი, რომელიც შეასრულებს ყოველ გვარ ღვთის მსახურებას ხალხისთვის ადვილად გასაგებ დედა-ენაზედ. ამ თვე ნახევრის განმავლობაში დიდი შრომა და მეცადინეობა გასწიეს სკოლის შენობისა და ეკლესიის აგების საქმეში თავადმა იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძემ, ი. მოზდოკელოვმა, მ. ინასარიძემ, ნ. გუბნელოვმა, ი. შვილევმა და გ. ბარათაშვილმა, რომელნიც მუდმივ თვალ ყურს ადევნებენ შენობის საქმეს და ჯერჯერობით ძალიან ნაყოფიერადაც მიჰყავთ საქმე. ეკლესიის ასაშენებლად ნაცნობ შეძლებულ კაცთ წერილითა სთხოვეს დახმარების აღმოჩენა, ჯერ ჯერობით ძალიან მცირე პასუხია მიღებული. ამისდა მიუხედავად კამიტეტის წევრები მოწადინებულნი არიან, დიდი ვალიც რომ დაედოთ, ეკლესია და სკოლა ამ ცოტა ხანში დაასრულონ და შემდეგ იმედი აქვთ, აქაურ ქართველთა გულშემტკივართა დახმარებით ვალის გადახდასაც შეიძლებენ. საზოგადოთ ასეთს გულმოდგინებასა და საქმისათვის ერთგულად შრომას, რასაც აქ შენიშნავს ყველა, იმედია, სასურველი საშვილიშვილო ნაყოფი მოჰყვება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად საჭირო და საყურადღებო გარემოებაც. მომავალ სამოსწავლო წლიდგან კავკავის ქართულ სკოლას ემატება კიდევ ერთი საკლასო ოთახი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობა, თავის უკანასკნელ წლის ანგარიშში აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ კავკავის სკოლაში უადგილობის გამო ბევრს უარს ეუბნებიან და სკოლაში არ იღებენო, დასძენს, რომ კავკავის სკოლის სამზრუნველოს არ აქვს ღონისძიება მესამე ოთახიც ააშენოს და მასწავლებელიც დაიქირაოს და, სამწუხაროდ, ვერც გამგეობა ეხმარება ჯერ-ჯერობით კამიტეტსო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ კავკავის ქართველებმა, როგორც იყო, მოახერხეს მესამე ოთახის მიმატებაც. ეხლა მხოლოდ საჭიროა მესამე მასწავლებელი, რომელიც შეიძლება თავისის ხარჯით მოიწვიოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ.

გამგეობას აზრად აქვს და სამოსწავლო მთავრობის წინაშეც აღუძრავს შუამდგომლობა იმის გამო, რომ კავკავის სკოლაში დაარსებულ იქმნას დამატებითი კლასი ბუჰგალტერიისა და სავაჭრო ანგარიშის შესასწავლად. ეს აზრი—ფრიად კეთილი და პატიოსანია, მაგრამ მისი განხორციელება ამ ჟამად უდროვოდ მიგვაჩნია; მაშინ, როდესაც 40—50 მოწაფეს უარი უნდა ეთქვას სასწავლებელში მიღებისა, განსაკუთრებულის კლასის დაარსება, რომლის მოწაფეთა უმეტესი რიცხვი ათს მაინც და მაინც არ აღემატება, უფრო მცირე ნაყოფიერი იქნება, ვიდრე 40—50 მოწაფის მიღება და მათი წერა-კითხვისა და პირველ დასაწყისის სწავლის მიღება. ამ მოსაზრებათა მიხედვით და სხვა მრავალ საბუთის ძალით ძალიან კარგს ინებებს „წ.-კ. გ. საზ.“ გამგეობა თუ მომავალ სამოსწავლო წლიდგან დააარსებს პირველ ვანყოფილებასთან პარალელურს განყოფილებას და საქმეს ისე მოაწყობს, რომ შეძლებისა და გვარად არავის უარს არ ეტყვის სკოლაში მიღებისას, მით უმეტს, რომ კავკავში ქართული სკოლა ერთად-ერთი სასწავლებელია, სადაც შეუძლიანთ პირველ დასაწყისი განათლება მიიღონ ქართველ ბავშვებმა და თუ ამათ უარი ეთქვა, ან სრულიად უმეცარნი უნდა დარჩნენ სამუდამოდ და ან იძულებულ იქმნენ ისეთს სკოლებში მიებარნენ, სადაც სწავლა უცხო ენაზეა, რომელიც ბავშვმა არ იცის, და ცოტა ხნის შემდეგ იძულებული ხდება ენის უცოდინარობისა გამო სრულიად თავი დაანებოს სწავლას. პარალელი განყოფილება მით უმეტეს უკეთესად მიგვაჩნია, რომ უფროსს განყოფილებებში მოწაფეთა რიცხვი მით უფრო იმატებს, რამდენადაც იგი მეტი იქნება უმცროსს განყოფილებებში. დღეს თუ ორითა შუა რიცხვით ყოველ წელიწადს 15-მდის მოწაფე ასრულებს სწავლას კავკავის სკოლაში, მაშინ ეს რიცხვი ორჯელ მეტი იქნება და სკოლის შედეგი და ნაყოფიც თან და თან იმატებს.

ერთი სასურველი ამბავიც. ბ-ნმა მესხიშვილმა სთხოვა ადგილობრივს მთავრობას ნებართვა ქართულის წიგნებით და ჟურნა-გაზეთებით ვაჭრობისა, ნება რთვა უკვე მიიღო და ამ დღეებში აპირებს კიდეც ქართულის წიგნებით ვაჭრობის დაწყებას. ვისურვებთ, ეს საქმე კარგად წარმართულიყოს აქეთ, სადაც მართლა საჭიროა და ფრიად საჭიროც ქართულის წიგნებით ვაჭრობა.

მოკეთე

## რუსეთი

— მომავალ 1899 წლიდგან საფოსტო მარკებით ვაჭრობის უფლება, საფოსტო დაწესებულებათა გარდა, იმ დაწესებულებათაც მიეცემათ, რომელნიც დღემდის გერბის მარკებით ვაჭრობენ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულ იქნება განსაკუთრებული კომისია ბ-ნის მინისტრის თავმჯდომარეობით, რომელიც ხელ-ახლად განიხილავს და შეიმუშავებს კანონდებულებას სამთა-მადნო მამულებით სარგებლობის შესახებ.

— სახალხო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ბოგოლეპოვმა 10 ივლისს დაამტკიცა სია იმ საშუალო სასწავლებლებისა, რომლებიც უფლებას აძლევენ ამ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ სამეტოქეო ეგზამენი გარდაიხადონ უმაღლესს სპეციალ სასწავლებლებში შესასვლელად, სახელდობრ გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები დამატებითის კლასებით, ნიჟეგოროდის ინსტიტუტი იმპერატორის ალექსანდრე მე-II-სა, გიმნაზიური კლასები ცესარევიჩის ნიკოლოზისა, აღმოსავლეთის ენების ლაზარევის ინსტიტუტთან არსებული საგიმნაზიო კლასები, პავლე გალაგანის კოლეგია კიევისა, გატჩინის ობოლთა ინსტიტუტი, არა მართლ-მადიდებელ ეკკლესიებთან არსებული გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები დამატებითის კლასებით, კერძო გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები, რომელთაც იგივე უფლება აქვთ, რაც მთავრობის მიერ დაარსებულს სასწავლებლებს, მოსკოვის საკომერციო აკადემია, ფინანსთა სამინისტროს ქვემდებარე სასწავლებლები და იმპერატრიცა მარიამის სახელობაზედ არსებული სასწავლებლები, საშუალო სატეხნიკო სასწავლებლები, მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებელი, ლოძინის უმაღლესი სახელოსნო სასწავლებელი, კერძო სატეხნიკო საშუალო სასწავლებლები, რომელთაც შესაფერი უფლება აქვთ, პრინც პეტრე ოლდენბურგელის სახელობაზედ დაარსებული სასწავლებელი, კრონშტადტის ზღვათა ოსტატების სატეხნიკო სასწავლებელი, სამხედრო-სატოპოგრაფიო სასწავლებელი, ნიკოლოზის საინჟინერო სასწავლებელი, პავლესა და ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებლები, მიხეილისა და კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებლები, ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელი, პაჟთა კორპუსი, საზღვაო და საკადეტო კორპუსები, სასულიერო მართლ-მადიდებელთა სემინარიები და სამიწათ-მოქმედო სასწავლებლები, თუ ამ სასწავლებელთა მოსწავლეს პირველის ხარისხით ექნება სწავლა დამთავრებული.

## უცხოეთი

**ესპანია და ამერიკა.** როგორც ვუწყით, საშუადობიანო მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. ამ ათს დღეში ეს მოლაპარაკება დამთავრდება და მშვიდობიანობა დამყარდება. აი, ამერიკელები რა პირობით აპირებენ დაზავებას: 1) ვესტ-ინდოეთის ყველა კუნძული, კუბას კუნძულს გარდა, შეერთებულს შტატებს უნდა გარდაეცეს; 2) ესპანიამ უარი უნდა განაცხადოს და ადარავითარი უზენაესი უფლება არ შეირჩინოს კუბას კუნძულზედ. ამერიკელებს უფლება ექმნებათ თვალ-ყური ადევნონ ამ კუნძულს იმ დრომდე, ვიდრე იქ თვით-მმართველობა დაარსდება, 3) ამერიკას უნდა დაუთმოს მარიანის ერთი კუნძული ქვა ნახშირის სადგურის დასაარსებლად და იქნება ერთი კაროლინის კუნძულთაგანიც ამავე აზრით. 4) ამერიკელები არა ჰკისრულობენ იმ ვალდებულებას, რომელიც დაკისრებული აქვს კუბას სახელმწიფო ხესხის ადების გამო; 5) ამერიკელები არავითარს სამხედრო სასყიდელს არა თხოულობენ; 6) მშვიდობიანობის პირობათა დადგენა უნდა მიენდოს ამერიკელ-ესპანიელთაგან შემდგარ კომისიას, ისე-კი, რომ ამ პირობათა დადგენამდე ესპანიის ჯარმა განათავისუფლოს კუბა და პორტორიკო.

აი, ამ პირობებით აპირებს ამერიკა ესპანიასთან შეთანხმებას და ამასთან ერთად, როგორც გაზეთების ცნობებიდგან სჩანს, თვალი უჭირავს და ჰსურს, ფილიპპეს კუნძულებიც შეიერთოს. ამას თხოულობენ ამერიკის გაზეთები. აი, რასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „Nord“-ი: „ფილიპპეს კუნძულებს დიდი მნიშვნელობა აქვს თავისის მდებარეობისა გამო. ეს კუნძულები დიდს ოკეანეშია, იაპონიის სასარგებლოდ დათმობილ ფორმოზასა და ინდოეთ-ჩინეთის სამფლობელოთა მახლობლად. ფილიპპეს კუნძულები რომ ხელთ ჩაიგდოს, ამერიკა უცბად კრიჭაში ჩაუდგება იაპონიასა, ჩინეთსა და საფრანგეთს. ამას გამო ყველა დიდი სახელმწიფონი იმას არიან მოწადინებულნი, რომ არამც თუ არ შეიერთოს ამერიკამ ეს კუნძულები, არამედ უზენაესი უფლებანიც-კი არ ჩაიგდოს ხელთ. მარტო ინგლისი შეიძლება მოურიგდეს როგორმე ამ კუნძულების ამერიკასთან შეერთებას, მაგრამ ეს მორიგება დანარჩენ დიდთა სახელმწიფოთათვის მეტად მეტი მოქარა იქნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰავაის კუნძულები მიისაკუთრა შეერთებულმა შტატებმაო“. გაზეთი იმ აზრისაა, რომ რუსეთი, იაპონია, საფრანგეთი და გერმანია, თუ საჭირო შეიქმნება, მორიგდებიან ერთმანეთში და ნებას არ მისცემენ ამერიკელებსა ან ინგლისელებს ფილიპპეს კუნძულების მისაკუთრებისასა.

ამავე დროს პარიჟის გაზეთს „Temps“-ს მადრიდიდგან დეპეშა მიუდის, რომლითაც აუწყებენ, რომ, ესპანიელების აზრით, ამ ათს დღეში მორიგების საქმე სრულიად დაბოლოვებული იქნებაო. საგასტას სამინისტრო თანახმაა უარი ჰყოს ესპანიის უზენაესი უფლებანი კუბას კუნძულისა, შეერთებულს შტატებს გარდასცეს პორტო-რიკო და ესპანიელ-ამერიკელთაგან შემდგარს კომისიას მიანდოს ზავის დაწვრილებით პირობათა შემუშავება. ამავე კომისიამ, რომელიც ლონდონში შეიკრიბება, უნდა გადასწყვიტოს ფილიპპეს კუნძულების პოლიტიკური ბედიღბალი. ომი და ბრძოლა ანტილიის კუნძულებზედ მაშინვე უნდა მოისპოს, განაცხადებს თუ არა ვაშინგტონის მთავრობა, რომ თანახმა ვარ ესპანიის მიერ წინადადებულ პირობით მშვიდობიანობის დამყარებისაო.

ამგვარად, როგორც ამ ორისავე მომხრე და მებრძოლ სახელმწიფოდგან მიღებულის ცნობებიდგან სჩანს, და-

დად მოსალოდნელია, რომ ეს სახელმწიფონი მორიგდნენ და მშვიდობიანობა დამყარდეს. ესპანია თითქმის სთმობს ყველა იმ უფლებას, რაც მიზეზად გაუხდა ესპანიელთა და ამერიკელთა შორის სისხლის ღვრის ატეხვას და ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, ამერიკა დაეთანხმება ამ პირობებს და აღარ განაგრძობს ომს, თავისთვისაც ესოდენ საზარალოსა და მავნებელს.

—

**საფრანგეთი.** როგორც ვწერთ საფრანგეთის პრეზიდენტის ბრძანებიდგან, ზოლას ჩამოერთვა უფლება საპატიო ლეგიონის ორდენისა და აგრეთვე სხვა საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა ორდენების ტარებისა. ამ გარემოებამ დიდი ალიაქოთი და აურ-ზაური გამოიწვია ზოლას მრავალ-რიცხოვან მომხრეთა შორის. ამ ამბის გამო ცნობილმა დრამატიულმა მწერალმა ჟაკ-ბარბიემ, საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცერმა, შემდეგი წერილი მისწერა ამ ორდენის გამგეობის თავმჯდომარეს:

„ბ-ნო თავმჯდომარეო! არიან ისეთნი ადამიანნი, და მათ შორის ირიცხება თქვენი მონა-მორჩილიც,—რომელთათვისაც ორდენი საპატიო ჯილდოა, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც ამა ორდენის ტარებით პატივსა სდებენ თვით ორდენს. ასეთია დიდებული ზოლა. იგი ერთი კმა არს, რომ ჩამოჰრეცხოს საფრანგეთს ის ტალახი, რომლითაც ჰსვრიან ერთი-ერთმანეთზედ ყველა ბოროტნი მწყემსნი. მე პირადად იმ აზრისა ვარ, რომ რაკი ბ-ნს ზოლას ჩამოერთვა ამ ორდენის ტარების უფლება, მეც უნდა დავტოვო ესე ორდენი და გამოვირიცხო თავი იმის მქონეთა შორის. ამიტომ კეთილ ინებეთ და დამითხოვეთ. იმავე სიხარულის გრძნობით გიბრუნებთ ამ ორდენს საპატიო ლეგიონისას, რა გრძნობითაც მივიღე იგი“.

ბარბიეს მაგალითს მიჰყვა ფრანსის პრესსანსე, ცნობილი მწერალი გაზეთ „Temps“-ის მეთაურ წერილებისა. იმანაც დააბრუნა საპატიო ლეგიონის ორდენი და პრეზიდენტსა სწერს, რომ ამ ბოლოს დროს გულზედ რაღაც სიმძიმე მაწევს, მამძიმებს ის სამკაული, რომელიც აქამდის ჩამორთმეული არა აქვს ესტერგაზის. მე ვეღარ დავიმშვენებ მკერდს იმ ორდენით, რომელიც, მას შემდეგ, რაც ზოლას ჩამოართვეს მისის ტარების უფლება, კანონიერების შელახვისა და 1789 წლის დიდებულ დედა-აზრთა დამხობის ნიშნად გარდაიქცაო.

გაზეთები სწერენ, რომ საპატიო ლეგიონის ორდენის დიდმა კანცლერმა უკვე აცნობა ბარბიეს, რომ მაგ ორდენს უკან ვერ დავიბრუნებთო, მაგრამ შესაძლებელია, რომ ორდენის საბჭომ ორივენი ამ წერილების გამო ორდენის შეურაცხმყოფელებად ჩასთვალოს და იმათაც ჩამოართვას უფლება მისის ტარებისაო.

—

**იტალია.** ამ ბოლოს დროს საზღვარ გარეთის გაზეთებში თითქმის ყოველ დღე იბეჭდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ პაპა ლეონ მე-XIII დიდად ავადმყოფობსო. ამ გაზეთების მიერ დაბეჭდილი ცნობა რამდენჯერმე უარ-ყოფილ იქმნა, ხოლო ის-კი ეჭვს გარეშე, რომ ვატიკანის მეთაური ამ ჟამად 89 წლისაა და მოხუცებულობისა გამო იგი დიდად დასუსტებულია. პაპი ლეონ მე-XIII ხშირად დიდის გულმოდგინებით დაიწყებს ხოლმე მუშაობას, მაგრამ ჩქარა სუსტდება და იძულებულია დაისვენოს. ამ ბოლოს დროს იგი ისე ხშირად აღარ ინახულებს ხალხს, როგორც წინად ინახულებდა ხოლმე.

—

**ჩეხია.** ჩეხლებს არა ერთხელ გამოუცხადებია, ჩვენთვის დიდად სასურველი იქნება, რომ იმპერატორის გვარეულობის ერთი წევრთაგანი ჩეხიის სამეფო ქალაქში სცხოვრობდეს მუდმივადაო. ეს სურვილი, როგორც სჩანს, ჩქარა განუხორციელდებათ ჩეხლებს. ერცჰერცოგს ფრანცს, ავსტრიის ტახტის მემკვიდრის უმცროსს ძმას, განუზრახავს მუდმივად ცხოვრება გრადჩინის ციხე-დარბაზში.

## ნაკვესი

—

— როგორ, არაფერი სჯამთ?! თქვენვე არ ამბობდით, რომ დავბადებულვარ, არაფი არ დამილევია, და ისე მოვკვდები, რომ არაფს არ დავლევო.

— მართალსა ჰბრძანებთ, მაგრამ ის როდი მითქვამს, რომ დაბადებასა და სიკვდილს შუა ხანშიაც არ დავლევ მეთქი!..

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ხმა გაისმა, რომ გერმანიის იმპერატორი აპირებს იერუსალიმში წასვლასაო. ამის გამო გაზეთებმა დაიწყეს ლაპარაკი, რომ იმპერატორის იერუსალიმში ყოფნის დროს ესრედ წოდებული შენობა „Coenaculum“-ი კათოლიკეთა ხელში გადავაო. „ქები დაუდი“-ს შენობათა შორის ყველაზედ შესანიშნავი ზემოხსენებული შენობაა, რადგან იქ მოხდა საიდუმლო სერობა. იგი ორის სართულისაგან შესდგება. ქვემო სართულში ფერხთა ბანვა იყო, ხოლო ზემოდ—საიდუმლო სერობა. ზემო სართულში ანუ სადგომში ადის მაღალი ქვის კიბე, ქვემო სადგომში-კი შეუვალი, რადგან იქავე ახლოა დავითის სამარე. ამ შენობის ქვეშ არის უშველებელი თალიანი მიწური, სადაც როგორც მაჰმადიანები და ადგილობრივ მცხოვრები ებრაელები ამბობენ, იმყოფება ნამდვილი სამარე დავითისა. იქ შესვლა აღკრძალული აქვთ ქრისტიანეთაც და ებრაელებსაც. არც მაჰმადიანები შედიან იქა, რადგან, როგორც ეტყობა, რაღაც ცრუმორწმუნოებრივს შიშსა ჰგრძნობენ ამ ადგილის წინაშე. ისტორიკოსი იოსებ ფლავი იუწყება, რომ დავითის გვამი აქ დაჰკრძალეს დიდის განძითაო და რომ შემდეგ გირკან პირველმა ამ განძიდგან 3,000 ტალანტი ამოიღოო. იროდიც იღებდა იქიდგან განძს, მაგრამ ფული-კი ვეღარა ჰპოვაო. ორივემ—გირკანმა და იროდმა ვერ მიაღწიეს პირველ მეფეთა სამარემდე. იროდმა რამდენისამე სანდო კაცის დახმარებით სამარე ღამე გათხარა, რომ ქალაქს არა შეეტყო-რა მისის განზრახვისა. როდესაც უფრო ღრმად უნდოდა ჩასვლაო, გარდმოცემა ამბობს, ამ დროს ალი ამოვარდა დედამიწიდგან და იროდის ორი მხლებელი იმსხვერპლაო. ამით შეშინებულმა იროდმა, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ ასეთი ჩემი საქციელი დიდი ცოდვააო, უბრძანა და ამ ადგილის შესავალში ცოდვათა თვისთა მოსანანიებლად თეთრის ძვირფასის ქვის ძეგლი ალაგებინა.

1116 წელს ებრაელმა ბენიამინე ტუდელამ პალესტინაში იმოგზაურა. აი, იგი რას მოგვითხრობს სხვათა შორის: „ამ თხუთმეტის წლის წინად დაიქცა სიონის ეკკლესიის კედელი. პატრიარქმა უბრძანა ერთს მღვდელს, აღედგინა ეს კედელი და საშენ მასალად ეხმარებინა სიონის ძველის-ძველ ქალაქის გალავნის საძირკვლის ქვები. როდესაც მუშები გალავნის საძირკველსა სთხრიდნენ, ერთს დიდს ქვას წაადგნენ, ამოიღეს იგი და გამოქვაბული ჰნახეს. ორი მათგანი შევიდა ამ გამოქვაბულში და ჰნახეს სადგომი, ოქროთი მორთულ მოწყობილი, შიგ მაგიდა იდგა, ოქროს გვირგვინი და სკიპტრა. ეს იყო დავითის სამარე და მისთა შემდგომთა მოადგილეთა. უცბად ქარიშხალი ასტყდა, წააქცია ეს ორნი და გაისმა ხმა: „აღსდეგით და განეშორეთ ადგილსა ამას“. ეს ამბავი უამბეს პატრიარქს და მან უბრძანა კვლავ ამოეკირათ შესავალი გამოქვაბულისა.

Coenaculum“-ის შენობა გადააკეთეს ფრანცისკანელმა ბერებმა, ამ ადგილს 1333 წელს დასახლებულებმა, ხოლო 1547 წელს ისინი განდევნილ იქმნენ მაჰმადიანთა მიერ. მას შემდეგ ეს შესანიშნავი ადგილი მაჰმადიანთა ხელშია და ჯერ დაჭეშმარიტებით არავინ იცის, როდის მოეღება იმათს მფლობელობას ბოლო და როდის განთავისუფლდება ეს წმიდა ადგილი იმათის ხელიდგან.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 ივლისი

**პარიჟი.** სამოსამართლო პალატამ არ იცნო ბერტიულიუსი ისეთ მცოდნე კაცად, რომ იმისათვის მიენდო იმ ქაღალდების სიყალბის გამორკვევა, რომელთაც დიუ-პატი-დე-კლამს აწერენ.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩების მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ჟანდარმთა რაზმს, ახლატის ოლქში იარაღისა და სარევოლიუციო შინაარსის გამოცემათა ძებნის დროს, ძალა უხმარია სომხებზედ. ის ამბავი, რომ ქურთებმა ხალხი დააწიოკესო, არ გამართლდა.

**მადრიდი.** 25 ივლისს მინისტრთ თავი მოიყარეს მოსალაპარაკებლად. ესპანიის პასუხი, რომელიც უნდა გაეგზავნოს შეერთებულ შტატებს, დასამტკიცებლად წარედგინა დედოფალს. ამბობენ, რომ ზავის პირობები მიღებულ იქმნაო.

**ნიუ-იორკი.** ამერიკელებმა დაიპყრეს პორტო-რიკოს აღმოსავლეთი ნაწილი და ზღვის ნაპირას აანთეს ზღვის კანდელები ისე, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

27 ივლისი

**ვაშინგტონი.** მაილსმა დეპეშით აცნობა ოლეტეროს პონსედგან, რომ პარასკევს მცირე ბრძოლის შემდეგ დაგვმორჩილდა გვაიამოო.

**მადრიდი.** დედოფალმა მოილაპარაკა სილველასთან და მარშალ კამპოსთან, მოილაპარაკებს აგრეთვე რომელო-რობლედოსთან. საგასტამ გაათავა მოლაპარაკება კანალეხოსთანა და გენერალ კალეეხოსთან.

**პარიჟი.** ყოფილი იმპერატრიცა ევგენია, რომელიც ამ ჟამათ პლომბიერაშია, მძიმედ გახდა ავად.

**მადრიდი.** ესპანიამ მიიღო ზავის პირობანი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა წარმოუდგინა. ესპანიის პასუხი გაეგზავნება ამერიკას სამშაბათს. თუ შეერთებული შტატები დაკმაყოფილდა ესპანიის პასუხით, ომიანობა მოსპობილ იქმნება დაუყოვნებლივ.


# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოც-დაშვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში— თერთმეტი (11) —(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე — გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი — იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 189⁸/₉ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—6)

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и К°.
ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
УСОВЕРШЕНСТВОВАННОЕ
ГЛИЦЕРИНОВОЕ
МЫЛО.




(11—მ.—3)

მიიღება ხელის მოწერა რუსულ-ქართულ

## ენციკლოპედიურ ლექსიკონზედ

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო **ანზე**, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის მომწერთათვის მარტო **12 მანეთი**, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ; ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო **ბანზე** უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—104—4)

## საჭმლის მარილი

მეტად სუფთა და საუკეთესო საჭიგიენო ნაწარმოები

„რ. კელერისა და ამხ.“

მოსკოვის ქარხნისა. ისყიდება ყველგან და ყველა ქალაქების დიდ ვაჭრებთან. ამ მარილს ისეთი თვისება აქვს, რომ არასოდეს არ დანესტიანდება და სამარილეში მუდამ ფხვნილად იქმნება შენახული. („столовая соль“). (3—მ.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 27 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.